ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის საყურადღებოდ!

თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის განცხადება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსებთან დაკავშირებით.

თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი გაცნობებთ, რომ ამა წლის 30 აპრილს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსები. კონკურსების პირობები და განაცხადის ფორმები განთავსებულია ფონდის ელექტრონულ გვერდზე www.rustaveli.org.ge

ფონდში პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2012 წლის 7 მაისიდან 29 ივნისის 24 სთ-მდე. ელექტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 5 ივლისის 18 საათისა.

პროექტები, სადაც ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წამყვანი ორგანიზაციაა, წინასწარ უნდა დაარეგისტრირონ ხელმძღვანელებმა/პასუხისმგებელმა პირებმა თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში. ამასთან დაკავშირებით, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელებმა, არაუგვიანეს ამა წლის 25 ივნისისა უნდა წარმოადგინონ:

1. პროექტის განაცხადის ფორმა, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანლის, ძირითადი შემსრულებლების და თანამონაწილე ორგანიზაციის ხელმძღვანლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერებით;
2. პროექტის ბიუჯეტი, სადაც ფუნდამენტური კვლევების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება წამყვანი ორგანიზაციისთვის განკუთვნილი ზედნადები ხარჯი, ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 10%-ის ოდენობით. გამოყენებითი კვლევებისთვის კონკურსისას, თსუ-დან მოთხოვნილი თანადაფინანსების შემთხვევაში, ზედნადები ხარჯი უნდა შეადგენდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 0%, ხოლო თანადაფინანსება კი - 10-%-ს;
3. გამოყენებითი სამეცნიერო კვლევებისთვის, პროექტის საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შუალედური შედეგები/თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით;
4. პროექტის შესრულებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის დასადასტურებლად შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ან საუნივერსიტეტო ინსტიტუტის დირექტორის ხელმოწერით დამოწმებული პროექტის განაცხადის ფორმის ასლი.

დამატებითი კონსულტაციებისთვის გთხოვთ მიმართოთ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს (თსუ I კორპუსი, ოთახი 113, ტელ.:2-222-473, ელ.ფოსტა: sciencerd@tsu.ge).